



საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლით გათვალისწინებული
საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს კანონში: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საკანონმდებლო წინადადების ავტორი:

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ს/კ 401973094

მის: ქ. თბილისი, საბურთალო, ისაკაძის ქ. #7

ტელ: 2 374503

საქართველოს კანონი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #1106, 14/11/1997, ს/კ 060.000.000.05.001.000.301) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1 „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან“.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“
საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია საკანონმდებლო წინადადების შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2014 წლის 23 ივლისის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში, განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა რეკომენდაციებმა საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, რათა შექმნან ეფექტური მექანიზმი და მოახდინონ 2003-12 წლებში მოქმედი ხელისუფლების პირობებში ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიება, რომელიც ატარებდა სისტემურ ხასიათს და წარმოადგენდა სისტემური დანაშაულის სახეს. აღსანიშნავია, რომ გაეროს დასკვნის მეთორმეტე პარაგრაფში, კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს ზოგიერთი გამოძიების დაუსრულებლობის გამო. ამ საქმეებს შორისაა: 2006 წლის ციხის ბუნტი, პატიმართა წამების შემთხვევები გლდანის, ქსნის, ქუთაისის, რუსთავისა და ზუგდიდის ციხეებში, 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა ძალადობრივი დაშლა, მერეთისა და კარაღეთის ინციდენტები, რომლის დროსაც ჟურნალისტებს, როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამასთან ერთად, კომიტეტი შეშფოთებულია, რომ საქმეების გამოძიება ხშირად წარმოებს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება), ნაცვლად 1441-ე (წამება) და 1443-ე (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) მუხლებისა. კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით პროკურატურაში შესული ათასობით საჩივრის გამო, თუმცა, ამავე დროს, კომიტეტი შეშფოთებულია იმით, რომ ბრალდებების რიცხვმა ყოფილი მაღალჩინოსნების და მოქმედი ოპოზიციონერების წინააღმდეგ, შესაძლოა სამართლებრივი სისტემის პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის გამოყენების აღქმა შექმნას. ამიტომაც, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გამოიძიოს წარსულში ჩადენილი დანაშაულები იმგვარად, რომ გამოძიებამ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ოპოზიციურად განწყობილი ლიდერების მიმართ პოლიტიკური შურისძიებისა და ანგარიშსწორების სახე არ მიიღოს. ამასთან, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ძალადობის შედეგად დაზარალებულებმა სამართლებრივი დახმარება და შესაბამისი კომპენსაცია მიიღონ. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საჭიროა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს შექმნა, რომელიც პოლიციელების და სხვა სამართალდამცავების მხრიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ბრალდებებს გამოიძიებს.

2003-2012 წლებში მოქმედი ხელისუფლების მკაცრი მმართველობის ფორმამ განსაკუთრებული კვალი დატოვა ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეზე. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა მკაცრ სისხლისსამართლებრივ რეგულაციებშიც გამოიხატა. შედეგად, წინა ხელისუფლების დროს მიღებულ იქნა ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთა რეალური დანიშნულება და მიზანიც, პოლიტიკურად არასაიმედო ან/და განსხვავებული სამოქალაქო პოზიციის მქონე მოქალაქეების თუ საზოგადოებრივი სტატუსის მქონე პირების უფლებების დარღვევა წარმოადგენდა. კანონის სახელით, ადგილი დაეთმო უკანონო მოქმედებების განხორციელებას, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით, საკუთრების უფლების გახშირებული ფაქტების სტატისტიკით დასრულდა. ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #14/51832 წერილის მიხედვით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2004-2014 წლებში, ჩუქების ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ ან მიტოვების ფორმით, გადაცემული ქონებების, წილების, აქციებისა და ავტომობილების ოდენობამ შეადგინა 5634 უძრავი თუ მოძრავი ნივთი. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში აღჩეულმა ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა, რომ ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, სახელმწიფო სამართლიანობის აღდგენას უზრუნველყოფდა. სამართლიანობის აღდგენის საჯარო დაპირება მოქმედმა ხელისუფლებამ მოქალაქეებს ჯერ კიდევ გამოქვეყნებული საარჩევნო პროგრამის ფარგლებში შესთავაზა, თუმცა საქართველოს მთავრობამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ცალკეული ხარვეზებით გამოირჩევა. მართალია, 2015 წლის იანვარში, საქართველოს მტავარ პროკურატურაში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი შეიქმნა, თუმცა მოცემულ ეტაპზე, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, ვერ ხდება.

ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის აღდგენის კეთილშობილური მიზნები შეიძლება ვერ განხორციელდეს, თუკი არ მოხდება ცალკეული ცვლილებების უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე. ამასაც საფუძვლიანად მოგახსენებთ - 2003-12 წლების ხელისუფლების პირობებში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ პროკურორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბრალდებული თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ქონება შესაძლებელია იყოს მოპოვებული ამ კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე ნაწილში მითითებული დანაშაულის ჩადენის შედეგად, იგი აღძრავს სარჩელს თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლების, აქციების (წილის) ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

ამავე კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე ნაწილის თანახმად, თანამდებობის პირი (რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლის სამართალწარმოება) – ამ კანონის მიზნებისათვის არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, ან საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც ბრალად ედება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, შესაბამისად, სამოხელეო ან სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, გამოძალვა, მითვისება ან გაფლანგვა, გადასახადებისაგან თავის არიდება ან საბაჟო წესების დარღვევა, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან.

სწორედ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში თანამდებობის პირების მიმართ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულირების გზით ხდებოდა ქონე(ებ)ის ჩამორთმევა, მაშინ, როდესაც ამ ადამიანებს დანაშაული ჩადენილიც არ ჰქონდათ, თუმცა პროკურატურა მათ ედავებოდა და აბრალებდა დანაშაულის ჩადენას იმ მიზნით, რომ მათი ქონებები, თითქოსდა დაუსაბუთებელი იყო. სადღეისოდ, საქმის შესწავლის შედეგად დადგინა, რომ თანამდებობის პირებს, რომლებსაც ედავებოდნენ იმ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის 37-ე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას და აღნიშნულის საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე პრიმა მუხლის საფუძველზე ჩამოართვეს ქონება, აღნიშნული მოქალაქეები, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების შედეგად, გამართლდნენ. დადგინდა, რომ მათ არ ჩაუდენიათ დანაშაული. შესაბამისად, მათთვის ქონებების ჩამორთმევა განხორციელდა უკანონოდ და დაუსაბუთებლად.

ახალი ხელისუფლების პერიოდში, მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოებს საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით. მოქალაქეების გამართლება, რომ მათ არ ჩაუდენიათ დანაშაული და აქვთ უფლება ჩამორთმეული ქონებების დაბრუნებისთვის სამართლებრივი მოქმედებების განახორციელონ, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რომელიც არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი. ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, რომელსაც არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული და აღნიშნული ბრალდების გამო ქონება ჩამოართვეს, დანაშაულში გამართლების შემთხვევაში, მოხდება საქმის წარმოების განახლება და ქონების დაბრუნება ან/და კანონის შესაბამისად, მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მოქალაქებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საფუძველი აქვთ დაიბრუნონ საკუთარი წართმეული ქონებები, კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გამო, სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებას ვერ ახერხებენ.

კერძოდ, დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ

გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. დადგენილი 5-წლიანი ვადა, მოქალაქეებს ხელს უშლის მიმართონ სასამართლოს და დაიბრუნონ ჩამორთმეული ქონება. ვინაიდან 2003 წლიდან მას შემდეგ, რაც ძველი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე პრიმა მუხლის საფუძველზე ჩამოართვეს ქონებები, ხოლო ახალი ხელისუფლების პერიოდში, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ასეთი მოქალაქეები გამართლდნენ, ქონების დაბრუნების მიზნით, ახლადარმოჩენილი გარემოების საფუძველზე მიმართავენ სასამართლოს, თუმცა ეს უკანასკნელი 5 წლიანი ვადის გასვლის გამო განცხადებას განუხილველად ტოვებს. შედეგად, ადამიანები, რომელთა გამართლების ყველა საფუძველი არსებობს, არსებობს მტკიცებულებები, რომ ნამდვილად უკანონოდ მოხდა მათთვის ქონებების ჩამორთევა, არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საქმის წარმოების განახლების საფუძვლები (მაგალითად, სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას და ა.შ.), თუმცა დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გამო ვერ ახერხებენ დავა დაიწყონ სასამართლოში ქონების დაბრუნების მიზნით და აღიდგინონ დარღვეული უფლებები. ამიტომაც, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება ვერ მოხდება, თუ არა ახალი საკანონმდებლო რეგულაციები და სახელმწიფოს ნება, სამართლიანობის აღდგენის პროცესი საკანონმდებლო გადაწყვეტილებებით დაამაგროს.

ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების შედეგად, დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა გაიზრდება 15 წლის ვადით. შესაბამისად, ადამიანებს, რომლებსაც უკანონოდ ჩამოართვეს ქონებები საშუალება ექნებათ მიმართონ სასამართლოს და იბრძოლოდ საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, ვადის გაზრდა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კანონიერების და სამართლიანობის დადგენის მხრივ, საქმეების განხილვა მოხდება თავიდან, სასამართლოს მიერ და საქმის განხილვის შედეგად მიღებული იქნება ახალი გადაწყვეტილება მათი გამართლების ან გაუმართლებლობის შესახებ, აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ქონებაჩამორთმეულების მიმართ არ მოხდება ერთიანი მიდგომის პრინციპი, არამედ მოხდება მათი საქმეების ინდივიდუალურად განხილვა, შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, რომ პირი, რომლის უფლებებიც უკანონოდ დაირღვა, ჰქონდეს შესაძლებლობა მისი გამამართლებელი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით აღიდგინოს დარღვეული უფლებები.

საკანონმდებლო ცვლილებები პასუხისმგებლობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესს პრინციპებს, ასევე სრულ თანხვედრაშია საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ნებასთან, აღადგინონ სამართლიანობა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დასაშვები გახდეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა გაიზარდოს 15 წლამდე.

აღნიშნული ცვლილება შესაძლებლობას მისცემს პირებს, მოითხოვონ საქმის წარმოების განახლება და შედეგად აღიდგინონ დარღვეული უფლებები. 15-წლიანი ვადა გონივრულია და ყველა მოქალაქეს, რომელიც საკუთარი დარღვეული უფლების თაობაზე მიმართავს სასამართლოს, წარუდგენს მტკიცებულებებს და დაიწყებს საკუთრების უფლების აღდგენაზე დავას, სახელმწიფო მისცემს სამართლიანი სასამართლოს განხორციელების შესაძლებლობას. მოცემულ ვადაში, მოქალაქეს, რომელის მიმართაც, შესაძლებელია არსებობდეს 2003-2004 და შემდგომ წლებში, სასამართლოების მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, კანონში ცვლილებებით შესაძლებლობა ჩდება, სამართლებრივ დავას ჰქონდეს ობიექტური გამართლება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დამატებით ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული. კანონპროექტი არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ის პირები, რომელთაც შეეძლება მისი გამოიყენება, სასამართლოს მიერ საქმის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში მიიღებენ ფინანსურ სარგებელს, რამდენადაც, შესაძლებლობა ექნებათ დაიბრუნონ მათთვის თავის დროზე უკანონოდ წართმეული ქონებები, ხოლო ამ ქონებების არარსებობს ან დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი თანახა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გ.დ) კანონპროექტის მიღებისათვის ხმათა საჭირო რაოდენობა პარლამენტში:

კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა (საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის პირველი პუნქტი).

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში, ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი (*ანა კიკნაძე, ნინო ისაკაძე, მარიამ იოზაშვილი*), გაეცნო კანონპროექტის მიზანთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას. წინადადების მომზადების პროცესში, გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილებაც, მათ შორის შვეიცარიის, საფრანგეთის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ლატვიის, ესტონეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციის ფორმებიც.

შვეიცარია

თუ ავიღებთ შვეიცარიის მაგალითს, შვეიცარიაში მოქმედი საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის მანძილზე, ასევე 90 დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც პირისთვის ცნობილი გახდა გადახედვის საფუძველი.

საფრანგეთის რესპუბლიკა

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, პირმა 2 თვის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც შეიტყო საქმის გადახედვის საფუძვლის შესახებ, უნდა მიმართოს სასამართლოს, თუმცა კანონმდებლობა სხვა შეზღუდვას, კერძოდ თუ რა ვადაა გასული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, არ ითვალისწინებს.

რუსეთის ფედერაცია

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, განცხადება შეტენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 3 თვისა გადახედვის საფუძვლის გამოვლენიდან, ხოლო სხვა შეზღუდვას ანუ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, რა ვადაა გასული, არ ითვალისწინებს.

უკრაინა

უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანა შეიძლება ერთი თვის ვადაში გადახედვის საფუძვლის დადგენიდან და არაუგვიანეს 3 წლისა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, თუ საქმე ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც პირისთვის არ იყო ცნობილი საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებანი. სხვა შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ვადა არ არსებობს.

ლატვია

ლიტვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ვადა არის 3 თვე და აღნიშნული ვადის ათვლა იწყება გადახედვის საფუძვლის აღმოჩენიდან. ამასთან, დაწესებულია 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლიდან.

ესტონეთი

ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით, პირს უფლება აქვს გადაწყვეტილების გადახედვის საფუძვლის გამოვლენიდან შეიტანოს განცხადება 3-თვიან ან 6-თვიან ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის შესაბამისად. ასევე, ხელახალი განხილვა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“